ზემო სვანეთის რეგიონის ლანდშაფტური მრავალფეროვნება და ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალი (სვანეთის ეროვნული პარკის მაგალითზე)

ალეკო ფანგანი

ელ-ფოსტა: aleko.pangani294@ens.tsu.edu.ge
გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი. ჭავჭავაძის გამზ. 3, თბილისი, 0179, საქართველო

ამ უკანასკნელ პერიოდში უაღრესად დიდი მნიშვნელობა შეიძინა ფიზიკურ-გეოგრაფიულმა (ლანდშაფტურმა) კვლევებმა ტურიზმისა და დასვენების ორგანიზაციის მიზნით. შეიქმნა გეოგრაფიული მეცნიერების ახალი მიმართულება – რეკრეაციული გეოგრაფია, რომლის კვლევის ობიექტია რეკრეაციული სისტემები, მჭიდროდ ურთიერთმოქმედ ქვესისტემებით: დამსვენებლები (რეკრეანტები), ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსები, ტექნიკური სისტემები, მომსახურე პერსონალი.

სამაგისტრო ნაშრომის ძირითადი მიზანია საქართველოს ერთ-ერთი, ბუნებრივი პირობებით გამორჩეული რეგიონის-ზემო სვანეთის ლანდშაფტური მრავალფეროვნებისა და ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის (სვანეთის ეროვნული პარკის მაგალითზე) შეფასება, რაც თანამედროვე გეოგრაფიის ერთობ აქტუალური პრობლემაა. ბუნებრივია, პრობლემის აქტუალობა შემთხვევითი არ არის, ვინაიდან ადამიანთა მნიშვნელოვან ნაწილს წელიწადში, საშუალოდ 100-120 დღე გამოთავისუფლებული აქვს და მისი რაოდენობა (თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში), თანდათან იზრდება. ამასთან ერთად, დღითიდღე მატულობს (განსაკუთრებით დიდ ქალაქებში) დისკომფორტული პირობები, როგორიცაა სატრანსპორტო ხმაური, ჰაერის დაჭუჭყიანება, ინფორმაციის სიუხვე და სხვ. ყოველივე ეს უბიძგებს ადამიანს მყუდროება და სიმშვიდე (დროებით მაინც) ეძებოს ბუნების წიაღში. აქვე უნდა ავღნიშნოთ ისიც, რომ მშობლიურ გარემოსთან, ისტორიულ-ხუროთმოძღვრულ ძეგლებთან, ეთნოგრაფიულ ობიექტებთან მუდმივი სიახლოვე და ურთიერთობა ადამიანს (განსაკუთრებით ახალგაზრდას) უღვიძებს პატრიოტიზმის გრძნობას, უყალიბებს პიროვნებას დადებით მორალურ თვისებებს და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის ბუნებრივ-კლიმატური პირობები, ტერიტორიების განვითარების ისტორიული წინაპირობები, მათი ინდუსტრიული განვითარების დონე, ტურიზმის განვითარების პოტენციალი და რეგიონების ტურისტული სპეციალიზაცია განსხვავებულია, საერთო ჯამში, ტურისტული მეურნეობა ხელს უწყობს ტურისტულ-რეკრეაციული კომპლექსის არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფუნქციონირების ეფექტიანობის გაზრდას, მომსახურების სფეროში სამუშაო ადგილების შექმნას და სახელმწიფო და ადგილობრივი საბიუჯეტო შემოსავლების ზრდა.